ხელშეკრულება № 143

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 02 ივლისი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) მისი **დირექტორის გულნარა ბზიშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ **ი/მ გულსუნდა ქარქაშიძე** (საიდენტიფიკაციო კოდი: 59001095561). (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია : 3 ცალი სასაჩუქრე მონის ჩაიდანის შესყიდვა. 1 ცალის ღირებულება 15.00 ლარი.

## *2. შესყიდვების ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია: სუვენირები ( CPV-18530000 )

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს –**45.00 (ორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი)** ლარს..

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მოთხოვნის გაკეთებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი"ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ სათანადო უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია- მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია: თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი. (გულნარა ბზიშვილი).

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაწყოს ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის
მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-
საგანმანათლებლო ცენტრი
გორი, მშვიდობის გამზ. №12ა
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTG22
ს/ნ: 417883044
ა.ა. GE02LB0115171175191000

"მიმწოდებელი"

ი/მ „ გულსუნდა ქარქაშიძე "
ქ.გორი, გურამიშვილის N 74
სს. „პრივატ ბანკი "
ბანკის კოდი:CAVOGE22
ს/ნ 59001095561
ა/ა: GE08TP0036010060001245

შემსყიდველი:

/გ. ბზიშვილი /

მიმწოდებელი

/გ. ქარქაშიძე /

მიღება-ჩაბარების აქტი

(საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი — 03 ივლისი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი მისი დირექტორის **გულნარა ბზიშვილის** სახით (ს/კ 417883044) „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ **ი/მ გულსუნდა ქარქაშიძე** (საიდენტიფიკაციო კოდი: 59001095561) „გამყიდველად" წოდებული, ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 2 ივლისის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მომსახურეობის შესყიდვა) თანახმად „გამყიდველმა" მოგვაწოდა სუვენირები ,ხოლო „შემსყიდველმა" გადაიხადა 45.00 (ორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

„შემსყიდველი"

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსწავლე-ახალ

გაზრდობის კულტ.საგანმანათლებლო ცენტრი

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"-ს

ა/ა GE02LB0115171175191000

ს.ნ 417883044

დირექტორი:

გ. ბზიშვილი

„ გამყიდველი"

ი/მ „ გულსუნდა ქარქაშიძე "

ქ.გორი, გურამიშვილის N 74

სს. „პრივატ ბანკი " CAVOGE22

ა/ა: GE08TP0036010060001245

ს.ნ 59001095561

დირექტორი

გ. ქარქაშიძე

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

| | | |
|---|---|---|
| საგადახდო დავალება #: | 1018 | GEL |
| თარიღი: | 2015 წლის 07 07, სამშაბათი | GEL 45.00 |
| გადამხდელის დასახელება: | გორის თვითმმართველი თემის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი | თანხა სიტყვიერად |
| ანგარიში (დებეტი): | GE02LB0115171175191000 | ორმოცდახუთი GEL და 00 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" | |
| ბანკის კოდი: | LBRTGE22 | |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | | ბანკის აღნიშვნები |
| საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | | |
| მიმღების დასახელება: | ი.მ. „გულსუნდა ქარქაშიძე" | ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.07.2015 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | | |
| ანგარიში (კრედიტი): | GE08TP0036010060001245 | |
| მიმღების ბანკი: | სს "ტაოპრივატბანკი" | |
| ბანკის კოდი: | CAVOGE22 | |
| გადახდის დანიშნულება: | სუვენირების შესყიდვა | ხელმოწერა: |
| ხელმოწერა: | | |
| | ბ.ა. | |

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან